განკარგულება:**g-81. 81252942**
თარიღი:**21/10/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №54

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	**შენიშვნა**
1	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ლაილაშში მდებარე ძველი ადმინისტრაციული შენობა (ს/კ 89.05.27.008	
2	სოფ.ალპანაში მდებარე ყოფილი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 98.14.28.007)	სადემონტაჟო შენობების ცხრილში არის შეტანილი
3	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. გაგულეჩში მდებარე 1000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.04.30.193)	
4	ავტობუსი PAZ-32052 სახელმწიფო ნომრით LIG-213	გაყიდულია (ელექტრონული აუქციონი 24.02.2025)
5	ავტობუსი PAZ-32052 სახელმწიფო ნომრით LIG-209	გაყიდულია (ელექტრონული აუქციონი 24.02.2025)
6	ავტობუსი PAZ 32054 სახელმწიფო ნომრით PP511MM	გაყიდულია (ელექტრონული აუქციონი 24.02.2025)
7	LAND GRUIZERI, სახელმწიფო ნომრით WWQ -430	
8	UAZ 31514 სახელმწიფო ნომრით NN-524-NV	გაყიდულია (ელექტრონული აუქციონი 19.06.2025)
9	UAZ 31519 სახელმწიფო ნომრით NN-523-NV	გაყიდულია (ელექტრონული აუქციონი 11.07.2025)
10	ქალაქი ცაგერი, რუსთველის ქუჩა № 39 – 29 კვ.მ	გაყიდული
11	მოთუთიებული რკინის სანაგვე ურნები საერთო წონით 4,500 (ოთხი ათას ხუთასი) კილოგრამი	არ შედგა
12	KAMAZ 5511 თვითმცლელი, სახელმწიფო ნომრით DM-221-MM	
13	GAZ 66-11 სატვირთო ბორტიანი, სახელმწიფო ნომრით CVC 759	
14	VTZDT-75 მუხლუხა ტრაქტორი, სახელმწიფო ნომრით SZ 358	